გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 58

2024 წლის 12 აპრილი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, ფ/პ ჟუჟუნა მარიამიძისთვის (პ/ნ 59001080370) პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2023 წლის 14 დეკემბერს (№ 19/2023348199-20) შემოსულია მოქ. ჟუჟუნა მარიამიძის განცხადება, რომელშიც იჯარის ფორმით, სამკერვალოს გახსნის მიზნით, მოთხოვნილია, სოფ. ზემო ნიქოზში (ს/კ 66.41.04.000.025 უძრავი ქონებიდან 30 კვ.მ), მე-2 სართულზე მდებარე 30 კვ.მ ფართი (ოთახი).

აუდიტური კომპანია შპს „კომპაუდის" 2024 წლის 28 თებერვალს №057-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით (მისამართი: გორის მუნიციპალიტეტი სოფელი ზემო ნიქოზი, მე-2 ქუჩა, N51) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 66.41.04.000.025 დაზუსტებული ფართობი 8228.00 კვ.მ) განთავსებული შენონა-ნაგებობიდან (საერთო ფართი - 1128.60 კვ.მ) - 30 კვ.მ უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 8,800.00 (რვაათას რვაასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ზემო ნიქოზში მე-2 ქუჩა, N51 - ში მდებარე, ს/კ 66.41.04.000.025 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენონა-ნაგებობიდან, ნაწილი ფართის - 30 კვ.მ - ს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, რისთვისაც „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად, საჭიროა განისაზღვროს ჯერ საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ ყოველწლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ზემო ნიქოზში, მე-2 ქუჩა, N51 - ში მდებარე ს/კ 66.41.04.000.025 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენონა-ნაგებობიდან, ნაწილი ფართი - 30 კვ.მ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადასცეს ფ/პ ჟუჟუნა მარიამიძეს (პ/ნ 59001080370).

2. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ნიქოზში, მე-2 ქუჩა, N51, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 66.41.04.000.025 დაზუსტებული ფართობი 8228.00 კვ.მ) განთავსებული შენონა-ნაგებობა N1-დან (საერთო ფართი - 1128.60 კვ.მ) - 30 კვ.მ უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 8,800.00 (რვაათას რვაასი) ლარით.

3. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 600 (ექვსასი) ლარით.

4. ქონება, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გაცემული იქნეს 1 (ერთი) წლის ვადით.

5. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც ორი კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს).

6. მოიჯარეს ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონება გადაეცემა სამკერვალოს გახსნის მიზნით.

7. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

8. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით, გორის რაიონულ სასამართლოში (მის. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**